ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ანგარიში 2016 წლის განმავლობაში

გაწეული მუშაობის შესახებ.

მოგახსენებთ, რომ ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის მიმართულებით 4 ძირითადი და 12 ქვეპროგრამა მოქმედებს და ამ პროგრამების ფარგლებში ეწევათ ბენეფიციარებს დახმარება სოციალურ მიმართულებაზე მიმდინარე წლის ოქტომბრის მდგომარეობით დახარჯულია 337588 ლარი. სხვადასხვა სახის მომსახურება გაეწია 1708 ბენეფიციარს.

საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია ხელმძღვანელობს 2016 წლის დამტკიცებული გეგმის მიხედვით. წლის განვლილ პერიოდში კომისიის არცერთი სხდომა არ ჩავარდნილა ქვორუმის არ ქონის გამო. მხოლოდ ერთი საკითხი გადავიტანეთ წლის ბოლოსთვის. ეს საკითხი გახლავთ შ.შ.მ. ბავშვების დღის ცენტრებში მდგომარეობისა და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. კომისიაში არსებობს ორი ქვეკომისია: სოციალური მიმართულებით მოქმედი ჯგუფი და ჯანდაცვის მიმართულებით მომუშავე ჯგუფი. კომისიის წევრები აქტიურად თანამშრომლობენ გამგეობასთან არსებულ შსაბამის სამსახურთან. მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში ჩატარებულია 10 კომისიის სხდომა, რომელ სხდომებზეც განვიხილეთ, მოვისმინეთ და დავგეგმეთ ჩვენი მიმართულებებით გასატარებელი ღონისძიებები. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)ი.პ. „სათნოების სახლი“, რომელიც ემსახურება 70 ბენეფიციარს. სოციალურად დაუცველებს, მზრუნველობამოკლებულ მოხუცებს, ინვალიდებს და მრავა ლშვილიან ოჯახებს.

კომისიამ მოისმინა გამგეობის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის ანგარიში 2015 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ, რომელიც შეფასდა დადებითად. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ გაწეული მუშაობა 2015 წელს შეფასდა დადებითად. მოვისმინეთ მაისის თვეში აქტუალურობიდან გამომდინარე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სურსათის უვნებლობის მხრივ არსებული მდგომარეობა.

მოვისმინეთ სოციალური სამსახურისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ გაწეული მუშაობა მიმდინარე წლის 6 თვეში. აქტიურად ვიყავით ჩაბმული სათნოების სახლის ახალი კეთილმოწყობილი ფართით უზრუნველყოფაში. შენობა გარემონტდა და კეთილმოეწყო. შესაძენია ახალი ინვენტარი, რათა ბენეფიციარებმა შეძლონ კვებაც და დასვენებაც. სექტემბრის თვეში კომისიამ განიხილა ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის მოხსენება სოციალური და ჯანდაცვის რეგულაციების შეცვლის ან ნაწილობრივ გადაკეთების შესახებ. კომისიის გადაწყვეტილებით ამ ეტაპზე მიზანშეწონილად არ მივიჩნიეთ რეგულაციების შეცვლა. ახალი 2017 წლის ბიუჯეტის შემოტანამდე, ვინაიდან უამრავი განცხადებაა შემოსული ბენეფიაციარების მიერ, რომლებიც არსებული

რეგულაციით ითხოვენ დახმარებას. განვიხილეთ ზამთრის სეზონისათვის სოციალურად დაუცველი და ხელმოკლე ოჯახების სათბობით (შეშით) უზრუნველყოფის შესახებ. შედგენილია სიები და გადაცემულია შესაბამის სამსახურში.

წლის ბოლომდე დარჩენილია ორი გეგმიური კომისიის სხდომა

1. უსახლკარო პირების თავშესაფრით უზრუნველყოფისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.
2. შობა-ახალ წელს სოციალურად დაუცველი და გაჭირვებული ოჯახების დახმარების შესახებ.

კომისია გეგმავს აქტიურად ჩაებას ახალი 2017 წლის ბიუჯეტის განხილვა დამტკიცების მუშაობაში, დაიცვას გამგეობის შესაბამის სასმსახურთან ერთად პოზიციები, რათა უფრო მეტი ბენეფიციარის დახმარება შევძლოთ.

საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ

საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: /გ.ხიჯაკაძე/